

## April 20 Flash Report

### On the Public-Private Dialogue 'New Legal Regulation of Personal Data Protection'



On April 17, 2024, a public-private dialogue on the new legal regulation of personal data protection was held at the Radisson Blu Iveria Hotel. The event was co-organized by the European Business Association and Grant Thornton Georgia.

Distinguished guests, including Mr. Kakhaber Goshadze, the leading specialist of the Human Rights Protection and Civil Integration Committee of the Parliament of Georgia, and Mr. Shavleg Todua, the Deputy Head of the Legal Department of the Personal Data Protection Service, participated in the panel discussion. Over 50 representatives from the business and public sectors attended the event.

The new Georgian law on personal data protection, which came into force on March 1, 2024, has reshaped legal issues related to personal data protection, aligning them more closely with European standards.

During the event, participants discussed the challenges associated with the new legislative regulations and the obligations imposed on businesses. Key topics included the regulatory norms of direct marketing, new principles of personal data protection,

and the role of the personal data protection officer, which will become mandatory from June 1, 2024. Additionally, new provisions governing data protection impact assessments were highlighted:

- The speakers addressed the mandatory appointment of a personal data protection officer, as stipulated by law and relevant orders. It was emphasized that there is a comprehensive list of sectors required to appoint a personal data protection officer. Moreover, instances were discussed where organizations outside these sectors must still appoint/define a personal data protection officer if they process large volumes of data or conduct systematic and large-scale monitoring of individuals' behavior.
- A regulation on direct marketing, introduced on March 1, 2024, represents a significant innovation. The new law provides a broader and more comprehensive definition of direct marketing and mandates that data processing for direct marketing purposes can only occur with the data subject's consent. It specifies that in addition to basic identifiers such as name, surname, address, telephone number, and email address, the written consent of the data subject is required for processing other data for direct marketing purposes.
- It is noteworthy that in direct marketing, the responsibility for proving the existence of the data subject's consent, ensuring the simplicity of refusal mechanisms, and providing clear, accessible instructions rests with the entity responsible for data processing.
- The new law established a higher standard for obtaining the consent of data subjects. Consent is defined as an active action, whether written (including electronically) or verbal, freely and clearly expressed by the data subject after receiving relevant information, indicating their will to have their data processed for a specific purpose.

## 20 აპრილის ანგარიში საჯარო კერძო დიალოგზე

„პერსონალური მონაცემების დაცვის ახალი საკანონმდებლო რეგულირების შესახებ“



2024 წლის 17 აპრილს, სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში ევროპული ბიზნეს ასოციაციისა და გრანთ თორნთონ საქართველოს თანაორგანიზებით გაიმართა საჯარო-კერძო დიალოგი პერსონალური მონაცემების დაცვის ახალი საკანონმდებლო რეგულირების შესახებ.

ღონისძიების პანელურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა სტუმრებმა – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წამყვანმა სპეციალისტმა ბატონმა კახაბერ გოშაძემ და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ბატონმა შავლეგ თოდუამ. ღონისძიებას დაესწრო ბიზნესისა და საჯარო სექტორის 50-ზე მეტი წარმომადგენელი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს ახალი კანონი ძალაში შევიდა 2024 წლის 01 მარტიდან, რომლითაც ახლებურად ჩამოყალიბდა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები და მეტად დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს.

ღონისძიებაზე განხილული იქნა ახალ საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებული გამოწვევები და კანონის ფარგლებში ბიზნესისთვის დაწესებული ახალი ვალდებულებები, მათ შორის: პირდაპირი მარკეტინგისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი პრინციპების მარეგულირებელი ნორმები, აგრეთვე 2024 წლის 01 ივნისიდან ასამოქმედებელი და სავალდებულო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტი და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების მარეგულირებელი ახალი ჩანაწერები:

- დისკუსიის ფარგლებში სპიკერებმა იმსჯელეს კანონისა და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის სავალდებულო შემთხვევების შესახებ. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ერთი მხრივ, ამომწურავად არის მოცემული იმ სექტორების ჩამონათვალი, რომლებიც ვალდებული არიან დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებით იქნა განხილული ისეთი შემთხვევები, როდესაც გარდა ზემოთაღნიშნული სექტორული ჩამონათვალისა, კანონი მაინც ავალდებულებს სხვა ორგანიზაციებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნას/განსაზღვრას, იმ დროს როდესაც ისინი ამუშავებენ დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს, ან ახორციელებენ მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს.
- 2024 წლის 1-ლი მარტიდან შემოღებულია რეგულაცია პირდაპირ მარკეტინგთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთი მნიშვნელოვან სიახლეს. ახალი კანონი გვთავაზობს პირდაპირი მარკეტინგის ახალ, მეტად ფართო და ყოვლისმომცველ განმარტებას. ასევე, აწესებს ვალდებულებას, რომ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება შეიძლება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით. კანონში აღნიშნა, რომ მონაცემთა სუბიექტის სახელის, გვარის, მისამართის, ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის გარდა, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით სხვა მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა.
- ნიშანდობლივია, რომ პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობის, უარის თქმის საშუალების სიმარტივის, მისი გამოყენების შესახებ მითითების ადვილად აღქმადობის, ხელმისაწვდომობისა და ადეკვატურობის მტკიცების ტვირთი ეკისრება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს.
- ახალმა კანონმა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ახალი სტანდარტი ჩამოაყალიბა და აღინიშნა, რომ მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება მიიჩნევა თანხმობად.